სტეფან კურტუა, ნიკოლა ვერთი, ჟან-ლუი პანე, ანდრეი
პაჩკოვსკი, კარელ ბარტოსეკი, ჟან-ლუი მარგოლენი

კომუნიზმის შავი წიგნი

დანაშაულები, ტერორი, რეპრესია

რემი კოფერთან, პიერ რიგულოსთან,
პასკალ ფონტენთან, ივ სანტამარიასთან და
სილვენ ბულუკთან თანამშრომლობით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2011

კომუნიზმის შავი წიგნი: დანაშაულები, ტერორი, რეპრესია. სტეფან კურტუა, ნიკოლა ვერთი, ჟან-ლუი პანე, ანდრეი პაჩკოვსკი, კარელ ბარტოსეკი, ჟან-ლუი მარგოლენი
Le Livre Noir du Communisme: Crimes, terreur, répression. Stéphane Courtois, Nicolas Werth, Jean Louis Panné, Andrzej Paczkowski, Karel Bartosek and Jean-Louise Margolin

Cet ouvrage, publié dans le cadre du Programme d'aide à la publication Mérab Mamardachvili, a bénéficié du soutien de l'Institut français / ministère français des affaires étrangères et européennes.

წიგნი გამოიცა მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში ფრანგული ინსტიტუტის / საფრანგეთის საგარეო და ევროპულ საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით.

© Éditions Robert Laffont, 1997

ქართული გამოცემის საავტორო უფლება
© ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 2010

ყველა უფლება დაცულია. Tous droits réservés.

მთარგმნელები:
პაატა ჯავახიშვილი (გვ: 9-36)
მზაღვე დოხტურიშვილი (გვ: 179-427)
მზია გომელაური (გვ: 37-127; 429-593)
ირინა ლაბაძე (გვ: 128-178; 593-722)

სამეცნიერო რედაქტორი: მერაბ ბასილაია

რედაქტორები: ირმა რევიშვილი, ნატალია ვაჩეიშვილი

კორექტორი: თინათინ კვირკველია

კომპიუტერული უზრუნველყოფა: სოფიო კევლიშვილი

ISBN: 978-9941-18-035-4

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო
ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 K. Cholokashvili Ave., Tbilisi, 0162, Georgia

„კომუნიზმის შავი წიგნი“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კვლევითი და სასწავლო პროგრამის ფარგლებში თარგმნა და გამოსცა.

საბჭოთა წარსულის კვლევა და სწავლება ჩვენი უნივერსიტეტის არა მხოლოდ აკადემიურ ინტერესს, არამედ საზოგადოებრივ აქტივობას წარმოადგენს.

თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს სახე ორ ტოტალიტარულ რეჟიმთან, ნაციზმთან და კომუნიზმთან დაპირისპირებაში ჩამოყალიბდა. საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ უკვე დიდი ხანია დაგმობილია ნაციზმის დანაშაულები კაცობრიობის წინაშე. თუმცა იმავე თანამეგობრობის მხრიდან კომუნისტური რეჟიმების დანაშაულების ცხადი შეფასება მხოლოდ 2006 წელს ევროსაბჭოს და 2009 წელს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციებით მოხდა.

ორივე რეზოლუციის ტექსტი იზიარებს იმ სულისკვეთებას, რომ კომუნისტური რეჟიმების დანაშაულებს არ მოჰყოლია გასამართლება, როგორც ეს ნაციონალ-სოციალისტების შემთხვევაში იყო და, აქედან გამომდინარე, არასაკმარისად არის გაცნობიერებული კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმების მიერ ჩადენილი დანაშაულების სიმძიმე. სწორედ ამიტომ, არაერთ პოსტტოტალიტარულ ქვეყანაში ხელისუფლებაში მოდიან პოლიტიკური ძალები, რომლებიც არ ემიჯნებიან უახლესი წარსულის კომუნისტურ რეჟიმებს. მეტიც, რიგ ქვეყნებში დღესაც არსებობს კომუნისტური რეჟიმი.

უახლესი ისტორია შესწავლისა და გაცნობიერების გარეშე ვერ გადაიქცევა წარსულად. ისტორია, რომელთანაც საზოგადოება არ ახდენს დისტანცირებას, ტრადიციაა. პოსტტოტალიტარული და, კერძოდ, ქართული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, რომ არა მხოლოდ საბჭოთა, არამედ პოსტსაბჭოთა, გარდამავალი ეპოქა, გახდეს წარსული. საბჭოთა ოკუპაციამ ჩვენ მეოცე საუკუნე წაგვართვა. დასანანი იქნება, თუ საბჭოთა ტრადიცია ოცდამეერთე საუკუნის საქართველოს დაემუქრება.

სწორედ ამიტომ არის საჭირო ვუპასუხოთ კითხვებს, რომლებიც ჰანა არენდტმა ტოტალიტარული რეჟიმების ანალიზისას დასვა — რა მოხდა? როგორ მოხდა? რატომ გახდა შესაძლებელი, რომ მომხდარიყო?

ვფიქრობ, წინამდებარე წიგნმა მეტწილად გასცა პასუხი პირველ ორ კითხვას. იგი პირველი საცნობარო წიგნია, რომელიც ასახავს მეოცე საუკუნეში არსებულ და აქამდე მოქმედ ყველა კომუნისტური რეჟიმის დანაშაულებს. ავტორების შეფასებით, მეოცე საუკუნის კომუნისტური რეჟიმების მსხვერპლი არაუმცირეს 120 მილიონი ადამიანია.

„კომუნიზმის შავი წიგნი“ ფრანგ მეცნიერთა ჯგუფის მიერ შეიქმნა. იგი ითარგმნა ინგლისურად, გერმანულად, ესპანურად, პორტუგალიურად და სხვა მრავალ ენაზე.

დღეს უკვე ქართულად ნათარგმნი „კომუნიზმის შავი წიგნი“ ქართულ საზოგადოებას და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას მოუთხრობს ისტორიას ყოველგვარი შელამაზების გარეშე, შეგვახსენებს, რა გამოვიარეთ მეოცე საუკუნეში. „კომუნიზმის შავ წიგნში“ აღწერილი სამყარო ადამიანის ღირსების, უფლებების, ძირითადი თავისუფლებების, პლურალიზმის, დემოკრატიისა და შემწყნარებლობის ღირებულებების გარეშე შენდებოდა. ეს „ტექსტი“ ჩვენს საზოგადოებას თავისი გამოცდილებით უკვე „წაკითხული“ აქვს და სწორედ ამიტომაც, მუდამ უნდა ახსოვდეს.

სერგო რატიანი

სარჩევი

პირველი ნაწილი

სახელმწიფო საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ

1. ოქტომბრის რევოლუციის პარადოქსები 43
2. პროლეტარიატის დიქტატურის „რკინის ხელი“ 56
3. წითელი ტერორი 72
4. „ბინძური ომი“ 81
5. ტამბოვის აჯანყებიდან დიდ შიმშილობამდე 106
6. დროებითი ზავიდან „დიდ გარდატეხამდე“ 128
7. იძულებითი კოლექტივიზაცია და განკულაკება 142
8. დიდი შიმშილობა 154
9. „სოციალურად უცხო ელემენტები“ და რეპრესიული ციკლები 164
10. დიდი ტერორი (1936-1938) 179
11. ბანაკების იმპერია 196
12. გამარჯვების მეორე მხარე 208
13. გულაგის აპოგეა და კრიზისი 222
14. უკანასკნელი შეთქმულება 231
15. გამოსვლა სტალინიზმიდან 238
დასკვნის სახით 248

მეორე ნაწილი

მსოფლიო რევოლუცია, სამოქალაქო ომი და ტერორი

1. კომინტერნი მოქმედებაში 257
2. ენკავედეს აჩრდილი ესპანეთში 315
3. კომუნიზმი და ტერორიზმი 334

მესამე ნაწილი

სხვა ევროპა – კომუნიზმის მსხვერპლი

1. პოლონეთი, „ერი-მტერი“ 343
2. ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა 369

მეოთხე ნაწილი

კომუნიზმი აზიაში: „თავიდან აღზრდასა“ და სისხლიან ანგარიშსწორებას შორის

1. ჩინეთი: დიადი სვლა წყვდიადში 437
2. ჩრდილოეთი კორეა, ვიეტნამი, ლაოსი: გველეშაპის შთამომავლები ... 522
3. კამბოჯა: წარმოუდგენელი დანაშაულების ქვეყანა..... 552
დასკვნა..... 613

მეხუთე ნაწილი

მესამე სამყარო

1. ლათინური ამერიკა კომუნისტური რეჟიმების სამსხვერპლოზე 621
2. აფროკომუნიზმი: ეთიოპია, ანგოლა, მოზამბიკი..... 651
3. კომუნიზმი ავღანეთში..... 673

რატომ?

.....697

ტექსტში ხშირად გამოყენებული საკვანძო აბრევიატურები.....723
საძიებელი 725
ბიბლიოგრაფია..... 735

რუკები

არქიპელაგი გულაგი.....38
დეპორტაციის გზები 40
არქიპელაგი ოზერლაგი 41
შრომა-გასწორების ბანაკები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში..... 435
დემოკრატიული კამპუჩია..... 551

ავტორები და გამომცემელი ამ წიგნს
უძღვნიან წინასიტყვაობის შემდგენლის,
ფრანსუა ფიურეს, ხსოვნას.

კომუნიზმის დანაშაულებანი

სტეფან კურტუა

„სიცოცხლე დამარცხდა სიკვდილთან,
მაგრამ არარაობასთან ბრძოლაში
მეხსიერება იმარჯვებს“.

ცვეტან ტოდოროვი
მეხსიერების ცდომილებანი

„ისტორია ადამიანთა უბედურების მეცნიერებაა“,[1] – დაუწერიათ ოდესღაც. ძალადობით სავსე მეოცე საუკუნემ თითქოს თვალნათლივ დაამტკიცა ეს ფორმულა. მართლაც, წინა საუკუნეებში ცოტა ვინმემ და ცოტა სახელმწიფომ თუ იწვნია საკუთარ თავზე ასეთი მასობრივი ძალადობა. ევროპის მთავარი ქვეყნები შავკანიანებით ვაჭრობაში იყვნენ ჩართული. საფრანგეთის რესპუბლიკა კოლონიზაციას ახდენდა, რის შედეგადაც, გარკვეულ დადებით მხარეებთან ერთად, ბევრი აღმაშფოთებელი და ამაზრზენი რამ მოხდა. და ეს თითქმის გუშინდელ დღემდე ხდებოდა. შეერთებული შტატები ძალადობის ერთგვარი კულტურითაა გაჟღენთილი. ამ ძალადობის ფესვები ორი უმთავრესი დანაშაულით იკვებება: შავკანიანთა მონობითა და ინდიელთა განადგურებით.

ამ თვალსაზრისით მეოცე საუკუნემ თითქოს გაუსწრო კიდეც გასულ ასწლეულებს. თვალის ერთი გადავლებაც კმარა სავალალო დასკვნის გამოსატანად: დიდი ჰუმანიტარული კატასტროფები მოხდა – ორი მსოფლიო ომი და ნაციზმი, რომ არაფერი ვთქვათ, შედარებით მცირე ტრაგედიებზე სომხეთში, ბიაფრაში, რუანდაში თუ სხვაგან. ოტომანთა იმპერიამ, მართლაც, მოახდინა სომეხთა, გერმანიამ კი – ებრაელთა და ბოშათა გენოციდი. მუსოლინის იტალიამ ეთიოპიელები გაჟლიტა. ჩეხებს უჭირთ აღიარება, რომ მათი ქმედება სუდეტელი გერმანელების მიმართ 1945-1946 წლებში, არ იყო სამაგალითო. პაწაწინა შვეიცარიაც კი ბოლომდე ვერ გათავისუფლდა წარსულისაგან, ვგულისხმობთ ნაცისტების მიერ განადგურებული ებრაელებისთვის მოპარული ოქროს შენახვასა და მოვლა-პატრონობას, მიუხედავად იმისა, რომ ეს საქციელი სისასტიკით აშკარად ჩამოუვარდება გენოციდს.

კომუნიზმს ამ ტრაგედიებით სავსე ისტორიაში თავისი ადგილი აქვს და ეს ადგილი ყველაზე მძაფრი და მრავლისმეტყველი ფაქტებით დაიკავა. ამ მოკლე XX საუკუნეში, რომელიც 1914 წელს დაიწყო და 1991 წელს მოსკოვში დასრულდა, კომუნიზმი უმთავრესი ფენომენია და ყველაფრის შუაგულში დგას. კომუნიზმი ფაშიზმამდე და ნაციზმამდე იშვა, მათი გაქრობის მერეც დარჩა და ოთხივე დიდ კონტინენტს შეეხო.

ზუსტად რას ვგულისხმობთ ტერმინ „კომუნიზმში“? აქვე და სასწრაფოდ უნდა დავინახოთ განსხვავება დოქტრინასა და ცხოვრებაში მის განხორციელებას შორის. როგორც პოლიტიკური ფილოსოფია, კომუნიზმი უკვე საუკუნეები, ათასწლეულებიც კია, რაც არსებობს. განა პლატონმა არ წამოჭრა იდეა „რესპუბლიკაში“ იდეალური ქალაქის შესახებ, სადაც ხალხს ვერც ფული გახრწნიდა და ვერც ძალაუფლება და სადაც ყველაფერს სიბრძნე, გონიერება და სამართლიანობა წარმართავდა? განა ბრწყინვალე მოაზროვნე და სახელმწიფო მოღვაწე, ინგლისის კანცლერი 1530 წელს, ცნობილი „უტოპიის“ ავტორი და ჰენრი VIII-ის ჯალათის ნაჯახით მოკლული სერ თომას მორი ამ იდეალური ქალაქის იდეის წინამორბედი არ იყო? ჩანს, შეფასებებისათვის, საზოგადოება სავსებით სამართლიანად იყენებს იარაღად უტოპიურ გამოხდომებს. აზრთა ჭიდილი ჩვენი დემოკრატიების ჟანგბადია. ხოლო კომუნიზმს, რომელზეც ჩვენ აქ ვლაპარაკობთ, იდეების ზეცაში თავისი ადგილი არ აქვს. ეს არის სავსებით რეალური კომუნიზმი, რომელმაც მოცემულ დროში, მოცემულ ქვეყნებში იარსება და ცნობილ ბელადებში – ლენინში, სტალინში, მაოში, ჰო ში მინში, კასტროში და ა. შ. – გან-

[1] Raymond Queneau, *Une histoire modèle*, Gallimard, 1979, p. 9.

სხეულდა. ჩვენი ქვეყნის[1] ისტორიიდანაც შეგვიძლია გავიხსენოთ მორის ტორეზი, ჟაკ დიუკლო და ჟორჟ მარშე.

რა წვლილიც არ უნდა მიუძღოდეს 1917 წლამდელ კომუნისტურ დოქტრინას რეალური კომუნიზმის მოქმედებაში — და ჩვენ ამას კიდევ დავუბრუნდებით — მაინც სწორედ ამ უკანასკნელმა აამოქმედა სისტემატური რეპრესია და იქამდე მივიდა, რომ გარკვეულ კრიტიკულ მომენტებში ტერორი მართვის ხერხად აქცია. და მართლა არაფერ შუაშია იდეოლოგია? სქოლასტიკოსები ისევ მოჰყვებიან იმის მტკიცებას, რომ რეალურ კომუნიზმს არაფერი აქვს საერთო იდეალურ კომუნიზმთან. და, ცხადია, აბსურდულიც იქნება, ქრისტიანობამდელ, აღორძინებისდროინდელ ან, თუნდაც, XIX საუკუნეში შემუშავებულ თეორიებს გადავაბრალოთ XX საუკუნეში განვითარებული მოვლენები. თუმცა, როგორც იგნასიო სილონი წერდა, „სინამდვილეში რევოლუციები, ხეების მსგავსად, მათი ნაყოფით შეიცნობა“. უსაფუძვლო არ იყო, რომ „ბოლშევიკების“ სახელით ცნობილმა რუსმა სოციალ-დემოკრატებმა 1917 წლის ნოემბერში „კომუნისტები“ დაირქვეს. შემთხვევით არ აღუმართავთ კრემლთან იმათი დიდების ძეგლი, ვისაც თავიანთ წინამორბედებად მიიჩნევდნენ, სერ თომას მორი იქნებოდა ეს, თუ თომაზო კამპანელა.

გარემოებებიდან გამომდინარე, კომუნისტურმა რეჟიმებმა ინდივიდუალური დანაშაულები და მიზანდასახული ხოცვა-ჟლეტა არ იკმარეს და ძალაუფლების განსამტკიცებლად მასობრივი დანაშაული სახელმწიფოს მართვის ნამდვილ სისტემად აქციეს. მართალია, რომ დროის სხვადასხვა მონაკვეთის — აღმოსავლეთ ევროპაში რამდენიმე წელიწადის, *სსრკ*-სა და ჩინეთში კი რამდენიმე ათწლეულის — გასვლის შემდეგ ტერორმა დაკარგა პირვანდელი სიმკაცრე, რეჟიმები დასტაბილურდა და ყველა საკომუნიკაციო საშუალების ცენზურით, საზღვრების კონტროლითა და დისიდენტების გაძევებით რეპრესია ყოველდღიურობად იქცა. მაგრამ „ტერორის მოგონებები“ რეპრესიული მუქარის დამაჯერებლობას და, აქედან გამომდინარე, მის ეფექტურობას კვლავაც უზრუნველყოფდა. იმხანად დასავლეთში პოპულარული ვერც ერთი კომუნისტური ექსპერიმენტი ვერ გადაურჩა ამ კანონს: ვერც „დიადი საჭეთმპყრობლის“ ჩინეთი, ვერც კიმ ილ სუნგის (*კიმ ირ სენ — რედ. შენ.*) კორეა, ვერც „თავაზიანი ძია ჰოს“ ვიეტნამი და ვერც ცეცხლოვანი ფიდელის კუბა, რომელსაც გვერდით ედგა სუფთა ჩე გევარა, რომ აღარაფერი ვთქვათ მენგისტუ ჰაილე მარიამის ეთიოპიაზე, ავგუსტინიო ნეტოს ანგოლასა და მოჰამად ნაჯიბულას ავღანეთზე.

ამასთან, კომუნიზმის დანაშაულებს ჯერ არ მიუღია ლეგიტიმური და ნორმალური შეფასება როგორც ისტორიული, ისე მორალური თვალსაზრისით. როდესაც ვცდილობთ, დანაშაულის ზომა და მოცულობა ცენტრალურ და გლობალურ საკითხად ვაქციოთ, ეს უკვე ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია კომუნიზმის ახლოდან შესწავლისთვის. აუცილებლად შეგვეკამათებიან, რომ ამ დანაშაულთა უმეტესობა ადგილობრივი რეჟიმების ინსტიტუციათა მიერ დაწესებულ ერთგვარ „კანონიერებას“ პასუხობდა, ეს რეჟიმები კი საერთაშორისო ასპარეზზე იყო აღიარებული და მათ თავკაცებს ჩვენივე სახელმწიფოების მეთაურები იღებდნენ დიდი ზარ-ზეიმით. თუმცა, განა ასევე არ ხდებოდა ნაციზმის შემთხვევაშიც? ამ წიგნში წარმოჩენილ დანაშაულებს განვიხილავთ არა კომუნისტური რეჟიმების იურისდიქციის კუთხით, არამედ კაცობრიობის ჰუმანიზმის ბუნებრივი უფლებების დაუწერელი კოდექსის მიხედვით.

კომუნისტური რეჟიმებისა და პარტიების, მათი პოლიტიკის, ეროვნულ საზოგადოებებთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან მათი ურთიერთობების ისტორია მხოლოდ დანაშაული, ტერორი და რეპრესია არ არის. სტალინის სიკვდილის შემდეგ *სსრკ*-სა და „სახალხო დემოკრატიებში“, მაოს სიკვდილის შემდეგ კი ჩინეთში ტერორი თანდათანობით მინელდა და საზოგადოება ნელ-ნელა გონზე მოვიდა, „მშვიდობიანი თანაარსებობა“ — მიუხედავად იმისა, რომ „კლასთა შორის ბრძოლა სხვა ფორ-

[1] იგულისხმება საფრანგეთი (მთარგმ.).

მით გაგრძელდა“ – საერთაშორისო ცხოვრების პერმანენტულ მოცემულობად იქცა. თუმცა არქივებიდან და თვითმხილველთა მონათხრობებიდან ნათლად ჩანს, რომ ტერორი თავიდანვე თანამედროვე კომუნიზმის ერთ-ერთი ფუნდამენტური განზომილება იყო. თავი დავანებოთ იმ მოსაზრებას, რომ ტყვეების დახვრეტა, ამბოხებული მუშების ჟლეტა, გლეხების შიმშილით ხოცვა მხოლოდ და მხოლოდ კონიუნქტურული „უბედური შემთხვევები“ იყო ამა თუ იმ ქვეყანასა და დროში. ჩვენი ძიება სცილდება ყველა სპეციფიკურ შემთხვევას და დანაშაულებრივ განზომილებას კომუნისტური სისტემის ერთიანობისთვის დამახასიათებელ განზომილებად განიხილავს ამ სისტემის მთელი არსებობის მანძილზე.

რომელი დანაშაულების შესახებ უნდა ვისაუბროთ? დანაშაული კომუნიზმმა ურიცხვი რაოდენობით ჩაიდინა: უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია როგორც სულის, ისე საერთო კულტურისა თუ ეროვნული კულტურების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. სტალინმა ათობით ეკლესია დაანგრია მოსკოვში; ნიკოლაე ჩაუშესკუმ მიწასთან გაასწორა ბუქარესტის ისტორიული გული, რომ იქ შენობები აეგო და მეგალომანიური პერსპექტივები წარმოეჩინა; პოლ პოტმა აგურ-აგურ დააშლევინა პნომ პენის საკათედრო ტაძარი და ჯუნგლებში მიატოვა ანგკორის ტაძრები; მაოისტური კულტურული რევოლუციის დროს შეუფასებელი საგანძურები დაამსხვრიეს და დაწვეს წითელმა გვარდიებმა. თუმცა, რაც უნდა მძიმე და ხანგრძლივი დროით იყოს მთელი ეს გამანადგურებელი ნგრევა, როგორ შეედრება ის ადამიანების, კაცების, ქალებისა და ბავშვების საყოველთაო ხოცვა-ჟლეტას?

ჩვენ ჯერ არ გვიხსენებია დანაშაულები ადამიანთა მიმართ, რაც ტერორის ფენომენის ძირითადი არსია. ეს დანაშაულები, ჩვეულებრივ, საერთოა, მაშინაც კი, როდესაც ესა თუ ის ხერხი ამა თუ იმ რეჟიმში უფრო მეტადაა გავრცელებული: სიკვდილით დასასჯელად სხვადასხვა საშუალებას იყენებდნენ – ხვრეტდნენ, სახრჩობელაზე აჰყავდათ, წყალში ახრჩობდნენ, ცემდნენ; ზოგ შემთხვევაში საბრძოლო გაზით გუდავდნენ, საწამლავით წამლავდნენ ან ავტოსაგზაო უბედურ შემთხვევას უწყობდნენ, შიმშილით ანადგურებდნენ – ხელოვნურად ქმნიდნენ შიმშილობას და მერე არ ეხმარებოდნენ; დეპორტაციებს აწყობდნენ – ადამიანები იღუპებოდნენ ტრანსპორტირების (ფეხით სიარულის ან სასაქონლედ განკუთვნილი ვაგონებით გადაყვანის) დროს ან უკვე ადგილზე იძულებითი შრომისას (გამოფიტვისგან, ავადმყოფობებისგან, შიმშილისგან, სიცივისგან). „სამოქალაქო ომად“ წოდებული პერიოდები უფრო რთულია: იოლი არ არის განასხვაო, რომელია ხელისუფლებასა და აჯანყებულთა შორის ბრძოლა და რომელი უბრალოდ სამოქალაქო მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა.

შეგვიძლია, ზემოთ თქმულის პირველადი შეჯამება რიცხვებით გამოვხატოთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯერ მხოლოდ მინიმალურად იქნება მიახლოებული რეალობასთან და კიდევ ბევრი დაზუსტება იქნება საჭირო. მაგრამ ეს რიცხვები წარმოდგენას შეგვიქმნის მასშტაბზე და საშუალებას მოგვცემს, სრულად აღვიქვათ შექმნილი სურათის სიმძიმე:

– *სსრკ* – 20 მილიონი გარდაცვლილი;
– ჩინეთი – 65 მილიონი გარდაცვლილი;
– ვიეტნამი – 1 მილიონი გარდაცვლილი;
– ჩრდილოეთ კორეა – 2 მილიონი გარდაცვლილი;
– კამბოჯა – 2 მილიონი გარდაცვლილი;
– აღმოსავლეთ ევროპა – 1 მილიონი გარდაცვლილი;
– ლათინური ამერიკა – 150 000 გარდაცვლილი;
– აფრიკა – 1,7 მილიონი გარდაცვლილი;
– ავღანეთი – 1,5 მილიონი გარდაცვლილი;
– საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა და ხელისუფლებაში არმყოფი კომპარტიები – 10 000 გარდაცვლილი.

ჯამი 100 მილიონ გარდაცვლილს უახლოვდება.

ეს მასშტაბი ფარავს სიტუაციის დიდ არაერთგვაროვნებას. უდავოა, რომ შედარების შემთხვევაში პირველ ადგილზე კამბოჯა აღმოჩნდება, სადაც პოლ პოტმა სამწელიწად-ნახევარში მოახერხა მთელი ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით ერთი მესამედის გაჟუჟვა, თანაც ყველაზე შემზარავი მეთოდებით – საყოველთაო შიმშილითა და წამებით. მაოისტური გამოცდილება ჩართული მასების სიდიდით გვაკვირვებს. რაც შეეხება ლენინურ-სტალინურ რუსეთს, ძარღვებში სისხლი გაეყინება კაცს მისი ექსპერიმენტული, მაგრამ ამავდროულად საოცრად მოფიქრებული, ლოგიკური და პოლიტიკური ასპექტებისაგან.

ასეთი ელემენტარული მიდგომა ვერ ამოწურავდა საკითხს, რომელში ჩაღრმავებაც „ხარისხობრივ“ გააზრებას მოითხოვს და დანაშაულის განსაზღვრებას ემყარება. ეს უკანასკნელი „ობიექტურ“ და იურიდიულ კრიტერიუმებს უნდა უკავშირდებოდეს. ერთი სახელმწიფოს მიერ ჩადენილი დანაშაული პირველად 1945 წელს ნიურნბერგის ტრიბუნალზე იურიდიული კუთხით განიხილეს. მოკავშირეებმა გამართეს სასამართლო ნაცისტების დანაშაულთა გასასამართლებლად. ეს დანაშაულები ტრიბუნალის წესდების მე-6 მუხლით განსაზღვრეს, რომელიც სამ უმთავრეს დანაშაულს გულისხმობდა: დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, ომის დანაშაულებანი და დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ. ერთი მხრივ, ლენინურ-სტალინური რეჟიმის მიერ, მეორე მხრივ კი ზოგადად კომუნისტურ სამყაროში ჩადენილი დანაშაულების ერთიანობაში შესწავლა ამ სამივე კატეგორიის ამოცნობამდე მიგვიყვანს.

მშვიდობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული მე-6ა მუხლით განისაზღვრება. ეს მუხლი შეეხება თავდასხმითი ომების, ზავების, დაზღვევებისა თუ საერთაშორისო შეთანხმებათა დარღვევის „წარმართვას, მომზადებას, დაწყებას ან გაგრძელებას, ასევე შეთანხმებულ გეგმასა თუ შეთქმულებაში მონაწილეობას რომელიმე წინმსწრები აქტის განსახორციელებლად“. სტალინმა უდავოდ ჩაიდინა ამ სახის დანაშაული, როდესაც საიდუმლოდ გაურიგდა ჰიტლერს 1939 წლის 23 აგვისტოსა და 28 სექტემბრის შეთანხმებებით. მოილაპარაკეს, რომ პოლონეთს გაიყოფდნენ, ხოლო ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს ბუკოვინის ჩრდილოეთიდან ბესარაბიამდე *სსრკ* დაიპყრობდა. 23 აგვისტოს შეთანხმებამ, რომელიც გერმანიას ორ ფრონტზე ბრძოლის საშიშროებისგან ათავისუფლებდა, პირდაპირ გამოიწვია მეორე მსოფლიო ომის დაწყება. სტალინმა მშვიდობის წინააღმდეგ ახალი დანაშაული ჩაიდინა, როდესაც 1939 წლის 30 ნოემბერს ფინეთს დაესხა თავს. 1950 წლის 25 ივნისს ჩრდილოეთ კორეის მოულოდნელი შეტევა სამხრეთ კორეაზე და კომუნისტური ჩინეთის მასშტაბური ინტერვენცია ამავე რიგის დანაშაულებია. დაფინანსებაც, რომელსაც ერთხანს მოსკოვიდან მართული კომუნისტური რეჟიმები იღებდნენ, ასევე მშვიდობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მათი საქმიანობა ხშირად საომარ მოქმედებებს იწვევდა; ასე მოხდა ავღანეთში, სადაც კომუნისტურ სახელმწიფო გადატრიალებას 1979 წლის 27 დეკემბერს *სსრკ*-ს მასობრივი სამხედრო ინტერვენცია მოჰყვა და გაღვივდა ომი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ჩამქრალი.

სამხედრო დანაშაული განსაზღვრულია მე-6ბ მუხლში, როგორც „ომის კანონებისა და წესების დარღვევა. ეს დარღვევები განუსაზღვრელად მოიცავს სამოქალაქო მოსახლეობის ხოცვას, ცუდ მოპყრობას ან მის გადასახლებას დაკავებული ტერიტორიიდან იძულებითი სამუშაოებისთვის ან სხვა რამ მიზნებით, სამხედრო ტყვეების ან საზღვაო აკვატორიებში დატყვევებული ადამიანების ხოცვას, მძევლების სიკვდილით დასჯას, საზოგადოებრივი ან კერძო ქონების მიტაცებას, ქალაქებისა და სოფლების ნგრევას ან იავარქმნას, თუკი ის არ არის გამართლებული საომარი მოქმედებებით განპირობებული საჭიროებებით“. ომის კანონები და წესები სხვადასხვა კონვენციებში წერია, რომელთაგან ყველაზე ცნობილი ჰააგის 1907 წლის კონვენციაა და რომელშიც აღნიშნულია: „ომის დროს მოსახლეობები და ომში ჩაბმული მხარეები ხალხის უფლებების პრინციპებს, რომლებიც ცივილიზებული ერების მიერ, ჰუმანურობის

კანონებისა და პოლიტიკური შეგნების მოთხოვნების მიხედვით დადგენილი წესებიდან მომდინარეობს“.

სტალინის ბრძანებით ან ნებართვით ბევრი სამხედრო დანაშაული მოხდა. 1939 წელს დატყვევებული პოლონელი ოფიცრობის თითქმის სრული განადგურება, რომელთაგან კატინში 4 500 დახოცეს და ეს მხოლოდ ერთი ეპიზოდი იყო, რომელიც ყველაზე თვალსაჩინო გამოდგა. თუმცა სხვა, ბევრად უფრო დიდი დანაშაულები შეუმჩნეველი დარჩა, როგორიცაა 1943-1945 წლებში ტყვედ აყვანილი და გულაგში დახოცილი ან დაღუპული ასობით ათასი გერმანელი სამხედრო; ამას ემატება გერმანელი ქალების მასობრივი გაუპატიურებები წითელი არმიის ჯარისკაცების მიერ ოკუპირებულ გერმანიაში, რომ აღარაფერი ვთქვათ, დაპყრობილი ქვეყნებიდან საწარმოო აპარატურის სისტემატურ ძარცვაზე წითელი არმიის მხრიდან. მე-6ბ მუხლი ეხება წინააღმდეგობის მონაწილეებს, რომლებიც ორგანიზებულად და იარაღით ხელში ებრძოდნენ კომუნისტურ ხელისუფლებას და რომლებიც ტყვედ აიყვანეს, დახვრიტეს ან გადაასახლეს: მაგალითად, ანტინაცისტური წინააღმდეგობის პოლონური ორგანიზაციის მებრძოლები ბალტიისპირელ და უკრაინელ შეიარაღებულ პარტიზანთა ორგანიზაციების წევრები, ავღანეთის წინააღმდეგობის მებრძოლები და ა. შ.

გამოთქმა „დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ“ პირველად 1915 წლის 18 მაისს გაჩნდა დეკლარაციაში, რომელიც საფრანგეთმა, ინგლისმა და რუსეთმა მიიღეს თურქეთის წინააღმდეგ სომეხთა ხოცვა-ჟლეტის გამო და განსაზღვრული იყო, როგორც „თურქეთის ახალი დანაშაული კაცობრიობისა და ცივილიზაციის წინააღმდეგ“. ნაცისტურმა რეპრესიებმა ნიურნბერგის სასამართლოს მე-6გ მუხლის ხელახალი განსაზღვრებისკენ უბიძგა: „ნებისმიერი სამოქალაქო საზოგადოების მიმართ განხორციელებული პოლიტიკური, რასობრივი ან სარწმუნოებრივი მოტივებით დევნა, მკვლელობა, განადგურება, დამონება, გადასახლება და ყველა სხვა სახის არაადამიანური მოქმედება ომამდე ან ომის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს იმ ქვეყნის საშინაო სამართლის დარღვევა, სადაც ამგვარი რამ ჩაიდინეს, სასამართლოს კომპეტენციაში შემავალი ან მასთან დაკავშირებული დანაშაულია“.

თავის საბრალდებო სიტყვაში, ნიურნბერგში, ფრანსუა დე მანტონმა, საფრანგეთის გენერალურმა პროკურორმა ამ დანაშაულთა იდეოლოგიურ განზომილებაზე გაამახვილა ყურადღება:

> „მსურს, გიჩვენოთ, რომ ნებისმიერი ორგანიზებული და მასობრივი დანაშაული მომდინარეობს იქიდან, რასაც, თავს უფლებას მივცემ და, სულის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს ვუწოდებ. ვგულისხმობ დოქტრინას, რომელიც ყველა სულიერ, რაციონალურ და მორალურ ღირებულებას უარყოფს. ამ დოქტრინის მიზანი კაცობრიობის ველურობისკენ გადასროლაა, თანაც არა პირველყოფილი ხალხების ბუნებრივი და სპონტანური ველურობისკენ, არამედ სრულიად დემონური ველურობისკენ, რადგან ეს გააზრებულად ხდება. ამ მიზნის მისაღწევად იგი თანამედროვე მეცნიერების მიერ ადამიანისთვის შექმნილ ყველა მატერიალურ საშუალებას იყენებს. სულის წინააღმდეგ ჩადენილი ეს დანაშაული ნაციონალ-სოციალიზმის უმთავრესი შეცდომაა, საიდანაც ყველა დანარჩენი დანაშაული მომდინარეობს. ასეთივე საზარელი დოქტრინა აქვს რასიზმს. [...] მშვიდობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე ვილაპარაკებთ თუ სამხედრო დანაშაულებზე, არც ერთი მათგანი არ არის უცაბედი ან შემთხვევითი, რასაც მოვლენები ნამდვილად ვერ გაამართლებდა, მაგრამ ახსნიდა მაინც. ყველა ეს მოქმედება არის უშუალოდ და აუცილებლად ერთი საზარელი დოქტრინიდან მომდინარე სისტემური დანაშაული, დოქტრინიდან, რომელსაც წინასწარი განზრახვით და გააზრებულად იყენებდნენ ნაცისტური გერმანიის თავკაცები“.

ფრანსუა დე მანტონმა ისიც დააზუსტა, რომ გერმანიის საომარი მანქანისთვის დამატებითი მუშახელის უზრუნველსაყოფად მოწყობილი გადასახლებები და გადასახლე-

ბები, რომლებიც ოპონენტთა გასანადგურებლად ეწყობოდა, სხვა არაფერი იყო, თუ არა „ბუნებრივი შედეგი ნაციონალ-სოციალისტური დოქტრინისა, რომლისთვისაც ადამიანს თავისთავად არავითარი ღირებულება არ ჰქონდა, თუკი ის გერმანული რასის სამსახურში არ იდგა“. ნიურნბერგის სასამართლოზე გაკეთებული ყველა განცხადება უმთავრესად კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს ეხებოდა: იმას, რომ სახელმწიფოს ძლიერება დანაშაულებრივი პოლიტიკისა და მოქმედების სამსახურში იყო ჩაყენებული. თუმცა, ტრიბუნალის უფლებამოსილება მეორე მსოფლიო ომის დროს ჩადენილი დანაშაულებით შემოიფარგლებოდა. ამიტომ, აუცილებელი გახდა, გაეფართოვებინათ ისეთი სიტუაციების იურიდიული ცნება, რომლებიც ამ ომიდან არ მომდინარეობდა. საფრანგეთის სისხლის სამართლის ახალი, 1992 წლის 23 ივლისს მიღებული კოდექსი ასე განსაზღვრავს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს: „პოლიტიკური, ფილოსოფიური, რასობრივი ან სარწმუნოებრივი მოტივებით ინსპირირებული და სამოქალაქო მოსახლეობის რომელიმე ჯგუფის წინააღმდეგ წინასწარ შემუშავებული გეგმით გადასახლება, დამონება ან მასობრივი და სისტემატური, გაუსამართლებლად ჩატარებული სიკვდილით დასჯა, ადამიანთა მოტაცება, რასაც მათი გაქრობა, წამება ან არაადამიანური მოპყრობა მოჰყვება“.

ყველა, სახელდობრ კი, ახლად მიღებული ფრანგული განსაზღვრება, ლენინის და, განსაკუთრებით, სტალინის თაოსნობით ჩადენილ ბევრ დანაშაულს ერგება. ერგება კომუნისტური რეჟიმის ყველა ქვეყანასაც, გარდა (ოღონდ პირობითად) კუბისა და სანდინისტების ნიკარაგუისა. მთავარი პირობა სადავო არ არის: კომუნისტური რეჟიმები „იდეოლოგიური ჰეგემონიის ცხოვრებაში გამტარებელი სახელმწიფოს სახელით“ მოქმედებდნენ. სწორედ სისტემის ლოგიკური და აუცილებელი საფუძვლის – დოქტრინის სახელით გაჟლიტეს ათობით მილიონი უდანაშაულო ადამიანი, თანაც ისე, რომ მათთვის არავითარი კონკრეტული ბრალდება არ წაუყენებიათ, გარდა იმისა, რომ მათ დანაშაულად მიიჩნეოდა ერთისთვის წარჩინებულობა, მეორისთვის ბურჟუობა, მესამისთვის კულაკობა, მეოთხისთვის უკრაინელობა და ვიღაცისთვის მუშობა ან... კომპარტიის წევრობაც კი. აქტიური შეუწყნარებლობა ამოქმედებული პროგრამის ნაწილს შეადგენდა. საბჭოთა პროფკავშირის ერთ-ერთი თავკაცი, მიხეილ ტომსკი 1927 წლის 13 ნოემბერს გაზეთ „ტრუდში“ წერდა: „ჩვენთან სხვა პარტიებიც შეიძლება არსებობდეს. მაგრამ უმთავრესი პრინციპი, რომელიც ჩვენ განგვასხვავებს დასავლეთისაგან, შემდეგია: ერთი პარტია გაბატონებულია, ყველა სხვა კი ციხეში ზის“.[1]

კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული კომპლექსურია და სხვა, უფრო ზუსტდასახელებებიან დანაშაულებს მოიცავს. ერთ-ერთი ყველაზე სპეციფიკური გენოციდია. ნაცისტების მიერ ებრაელთა წინააღმდეგ მოწყობილი გენოციდის მერე 1948 წლის 9 დეკემბრის გაეროს კონვენციით მე-6გ მუხლის დასაზუსტებლად განსაზღვრება ასე ჩამოყალიბდა: „გენოციდი ეწოდება ქვემოთ ჩამოთვლილ აქტებს, ჩადენილს რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის სრული ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით, როგორიცაა: ა) ჯგუფის წევრების დახოცვა; ბ) სერიოზული ზიანის მიყენება ჯგუფის წევრების ფიზიკური თუ მენტალური ჯანმრთელობისთვის; გ) ჯგუფის წინასწარგანზრახული დაქვემდებარება არსებობის ისეთი პირობებისადმი, რომელიც გამოიწვევს მის სრულ ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას; დ) ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს შობადობის შეფერხებას ჯგუფის წიაღში; ე) ერთი ჯგუფის ბავშვების იძულებითი გადაყვანა მეორე ჯგუფში.

საფრანგეთის სისხლის სამართლის ახალი კოდექსი გენოციდის კიდევ უფრო ვრცელ განსაზღვრებას იძლევა: „მოქმედება წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით, რომელიც მიზნად რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან სხვა ნებისმიერი კრიტერიუმით გაერთიანებული ჯგუფის სრულ ან ნაწილობრივ განადგურებას ისახავს“. ეს იურიდიული განსაზღვრება არ ეწინააღმდეგება ანდრე ფრო-

[1] Cité par Kostas Papaionannou, *Les Marxistes*, J'ai lu, 1965.

სარის უფრო ფილოსოფიურ მიდგომას, ვისთვისაც „კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულია, როდესაც კლავ იმის გამო, რომ ის უბრალოდ დაიბადა“.[1] პატარა და საოცარ მოთხრობაში „ყველაფერი გაივლის“, ვასილი გროსმანი ამბობს თავის გმირზე, ბანაკიდან დაბრუნებულ ივან გრიგორიევიჩზე: „ის დარჩა იმად, რაც დაბადებისას იყო – კაცად“.[2] ზუსტად ამიტომაც მოჰყვა იგი ტერორის ქვეშ. ფრანგული განსაზღვრება საშუალებას გვაძლევს, გამოკვეთილად აღვნიშნოთ, რომ გენოციდი არ არის ყოველთვის ერთი და იმავე სახის – მაგალითად, რასობრივი, როგორც ეს ებრაელთა შემთხვევაში მოხდა – და შეიძლება ემუქრებოდეს სოციალურ ჯგუფებსაც. 1924 წელს ბერლინში გამოქვეყნებულ ერთ წიგნში, სახელად „წითელი ტერორი რუსეთში“, რუსი ისტორიკოსი და სოციალისტი, სერგეი მელგუნოვი ციტატას მოიხმობდა *ჩეკას* (საბჭოთა პოლიტიკური პოლიცია) ერთ-ერთი პირველი თავკაცის, მარტინ ლაცისის გამონათქვამიდან, რომელიც 1918 წლის 1 ნოემბერს დირექტივებს აძლევდა თავის აგენტებს: „ჩვენ არ ვეომებით ცალკეულ ადამიანებს. ჩვენ ვანადგურებთ ბურჟუაზიას, როგორც კლასს. გამოძიებისას ნუ ეძებთ საბუთებს ან სამხილებს იმის თაობაზე, თუ რა გააკეთა ან თქვა ბრალდებულმა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. პირველი შეკითხვა მისი კლასობრივი კუთვნილების, წარმოშობის, განათლების და პროფესიის შესახებ უნდა დაუსვათ“.[3]

ლენინი და მისი ამხანაგები ერთბაშად აღმოჩნდნენ შუაგულ და უმოწყალო „კლასობრივ ბრძოლაში“, სადაც პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეს, ან თვით ჯიუტ და ჭირვეულ მოსახლეობას მიიჩნევდნენ და ეპყრობოდნენ, როგორც მტერს, რომელიც ბოლომდე უნდა ამოწყვეტილიყო. ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს, ლეგალურად, და ამასთან, ფიზიკურად მოეშორებინათ თავიდან თავიანთი ჰეგემონური ხელისუფლების ყველანაირი ოპოზიცია და წინააღმდეგობა, თუნდაც პასიური, თანაც არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელნი პოლიტიკური ოპოზიციის ჯგუფში იქნებოდნენ გაერთიანებულნი, არამედ მაშინაც, როდესაც ისინი ისეთ სოციალური ჯგუფის შემადგენლობაში იქნებოდნენ, როგორებიცაა – წარჩინებული ფენა, ბურჟუაზია, ინტელიგენცია, ეკლესია და ა. შ. ერჩოდნენ პროფესიულ კატეგორიებსაც, ოფიცრობას, ჟანდარმერიას, და ეს ყველაფერი ხანდახან გენოციდის სახეს იღებდა. 1920 წლის „დეკაზაკიზაცია“ „სავსებით შეესაბამება გენოციდის განსაზღვრებას: კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, კაზაკობა, გაანადგურეს – მამაკაცები დახვრიტეს, ქალები, ბავშვები და მოხუცები გადაასახლეს, სოფლები ან აღგავეს პირისაგან მიწისა ან არაკაზაკ მოსახლეობას გადასცეს. ლენინი კაზაკებს საფრანგეთის რევოლუციის დროის ვანდე ას ადარებდა და სურდა, მათ მიმართ მოპყრობა ისეთი ყოფილიყო, როგორსაც თანამედროვე კომუნიზმის „გამომგონებლის“, გრაკხუს ბაბეფის „მოსახლოჟლეტის“[4] (populicide) 1795 წლის განმარტება ითვალისწინებდა.

1930-1932 წლების „განკულაკება“ სხვა არაფერი იყო, თუ არა „დეკაზაკიზაციის“ ფართომასშტაბიანი გაგრძელება, რომელიც პირველ რიგში სტალინის მიერ მოთხოვნილი და რეჟიმის პროპაგანდის მიერ გახმოვანებული ოპერაცია იყო და ამას „კულაკების, როგორც კლასის განადგურება“ ეწოდებოდა. კულაკები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ კოლექტივიზაციას, დახვრიტეს, სხვები კი ქალებთან, ბავშვებთან და მოხუცებთან ერთად გადაასახლეს. ცხადია, ყველანი პირდაპირ არ გაუნადგურებიათ, მაგრამ იძულებითი შრომა, რომელიც მათ მიუსაჯეს ციმბირისა და ჩრდილოეთის ყამირ მიწებზე, გადარჩენის ძალიან მცირე შესაძლებლობას უტოვებდა. რამდენიმე ასეულმა ათასმა იქ დაასრულა სიცოცხლე, თუმცა მსხვერპლთა ზუსტი რიცხვი ჯერჯერობით

1 *Le Crime contre l'humanité*, Robert Laffont, 1987.

2 *Tout passe*, Julliard-L'Âge de l'homme, 1984.

3 Jacques Baynac, *La Terreur sous Lénine*, Le Sagittaire, 1975, p. 75.

4 Gracchus Babeuf, *La Guerre de Vendée et le système de dépopulation*, Tallandier, 1987.

მაინც უცნობია. უკრაინის 1932-1933 წლების დიდი შიმშილობის დროს კი, როდესაც სოფლის მოსახლეობამ წინააღმდეგობა გაუწია იძულებით კოლექტივიზაციას, რამდენიმე თვეში ექვსი მილიონი ადამიანი დაიღუპა.

აქ „კლასობრივი“ გენოციდი „რასობრივს“ ერწყმის: სტალინის რეჟიმის მიერ შიმშილობის ჩიხში მომწყვდეული უკრაინელი კულაკის ერთი შვილის შიმშილით სიკვდილი ნაცისტური რეჟიმის მიერ ვარშავის გეტოში შიმშილობის ჩიხში მომწყვდეული ებრაელი ბავშვის შიმშილით სიკვდილს „უდრის“. ამ ფაქტის კონსტატირება არანაირად არ ხდის საეჭვოს „აუშვიცის“ თავისებურებას: ყველაზე თანამედროვე ტექნიკური რესურსების მობილიზებასა და ნამდვილი „ინდუსტრიული პროცესის“ ამუშავებას – „საჟლეტი ქარხნის“ მშენებლობას, გაზისა და კრემაციის გამოყენებას. ის გამოკვეთს ბევრი კომუნისტური რეჟიმის თავისებურებას: „შიმშილის იარაღით“ სისტემატურ სარგებლობას; რეჟიმი არსებული საკვების მარაგის სრულად გაკონტროლებას ცდილობს და ამ საკვებს რაციონის შერჩევის ზოგჯერ მეტად გართულებული სისტემით ანაწილებს – იმის მიხედვით, თუ ვინ რამდენს „იმსახურებს“. ამგვარი ქცევით ხანდახან უზარმაზარი შიმშილობის გამოწვევა შეიძლება. გავიხსენოთ, რომ 1918 წლის შემდგომ პერიოდში მხოლოდ კომუნისტურ ქვეყნებში დაიწყო ასეთი შიმშილობები, რასაც ასი ათასობით და მილიონობით ადამიანის სიკვდილი მოჰყვა. ჯერ მარტო ბოლო ათწლეულში ორ აფრიკულ ქვეყანას, რომლებმაც მარქსისტ-ლენინურ ქვეყნებად გამოაცხადეს თავი – ეთიოპიასა და მოზამბიკს – დამღუპველი შიმშილობები დაატყდა თავს.

ამ დანაშაულების პირველი გლობალური შედეგი ასეთია:

– ათობით მილიონი მძევლის ან პატიმრის გაუსამართლებლად დახვრეტა და ასობით ათასი აჯანყებული მუშისა და გლეხის გაჟლეტა 1918-1922 წლებში;

– 1922 წლის შიმშილობა, რომელმაც ხუთი მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა;

– დონის კაზაკთა ლიკვიდაცია და დეპორტაცია 1920 წელს;

– ათობით ათასი ადამიანის მკვლელობა საკონცენტრაციო ბანაკებში 1918-1930 წლებში;

– დაახლოებით 690 000 ადამიანის ლიკვიდაცია 1937-1938 წლების დიდი წმენდის დროს;

– ორი მილიონი (ასეა მიჩნეული) კულაკის გადასახლება 1930-1932 წლებში;

– ხელოვნურად გამოწვეული შიმშილობისაგან ექვსი მილიონი უკრაინელის განადგურება 1932-1933 წლებში;

– ასობით ათასი პოლონელის, უკრაინელის, ბალტიისპირელის, მოლდაველისა და ბესარაბიელის დეპორტაცია ჯერ 1939-1941 და მერე 1944-1945 წლებში;

– ვოლგისპირელი გერმანელების გადასახლება 1941 წელს;

– ყირიმელი თათრების გადასახლება და ბედის ანაბარა დატოვება 1943 წელს;

– ჩეჩნების გადასახლება და ბედის ანაბარა დატოვება 1944 წელს;

– ინგუშების გადასახლება და ბედის ანაბარა დატოვება 1944 წელს;

– კამბოჯას ურბანული მოსახლეობის დეპორტაცია და ლიკვიდაცია 1975-1978 წლებში;

– ჩინელთაგან ტიბეტელების ნელი განადგურება 1950 წლიდან და ა. შ.

ამით არ მთავრდება ლენინიზმისა და სტალინიზმის დანაშაულთა ჩამონათვალი. ეს დანაშაულები თითქმის იდენტურად მეორდებოდა მაო ძედუნის, კიმ ილ სუნგის (კიმ ირ სენის) და პოლ პოტის რეჟიმების პირობებშიც.

რჩება ერთი მეტად რთული ეპისტემოლოგიური საკითხი: უფლებამოსილია კი ისტორიკოსი გამოიყენოს ფაქტების დახასიათებისა და ინტერპრეტირებისას ცნებები „დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ“ და „გენოციდი“, რაც, როგორც ვნახეთ, იურიდიულ სფეროს განეკუთვნება? ეს ცნებები ძალიან ხომ არ არის დამოკიდებული კონიუნქტურის იმპერატივებზე – ნაციზმის გასამართლება ნიურნბერგში, მაგალითად – საიმისოდ, რომ ისტორიულ რეფლექსიებში იყოს ჩართული და შესაფერისი საშუალო-